

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი, 11 სექტემბერი 2014 წ.

ბრძანება N 534

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით
გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე
სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის
განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლისა და 239-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.უ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. თვითმმართველი ერთეულისათვის (მუნიციპალიტეტისათვის) მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში:

1.1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ შემდეგი თანამდებობის პირები:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 49-ე, 51-ე, 51², 51³, 52-ე, 53³, 55-ე, 55², 55³, 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-67-ე, 68-ე, 71-ე, 73-75-ე, 86-ე, 119¹ მუხლებით, 125³ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, 146¹, 148 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე, 150¹, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152²,

153⁴, 159-ე, 159¹ და 179² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 49-ე, 51-ე, 51², 51³, 52-ე, 53³, 55-ე, 55², 55³, 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-67-ე, 68-ე, 71-ე, 73-75-ე, 86-ე, 145-ე მუხლებით, 146¹ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 152² მუხლით და 153⁴ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 71-ე მუხლით, 146¹ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და 152-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43-ე, 44-ე, 44¹, 44³ მუხლებით, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 60³, 173⁵ და 177¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახანძრო დაცვისა და საგანგებო სიტუაციათა სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76-ე და 177-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196¹, 196³, 196⁶, 197-ე, 197¹ და 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ზ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სატრანსპორტო ინ-ფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125³ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

თ) შპს „სანდასუფთავების“ თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 71-ე მუხლით, 146¹ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით და 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ი) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და

მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 71-ე მუხლის, 146¹ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152², 153⁴, 159-ე და 159¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

კ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები მხოლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრულ მათ სამოქმედო ტერიტორიებზე (ადმინისტრაციულ ერთეულში) - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹, 148 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე, 150¹, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152² და 153⁴ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

1.2. თუ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თვითმმართველი ერთეულისათვის (მუნიციპალიტეტისათვის) მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში წინამდებარე ბრძანების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირების მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე წარმოებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვას არ მიაკუთვნებს საერთო სასამართლოების განსჯადობას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) ან/და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, ხოლო არსებობისას გენერალური დირექტორი), სადაც მუშაობს წინამდებარე ბრძანების 1.1. პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებზეც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლის შესაბამისად სამართალდარღვევის ადგილზევე ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სამართალდამრღვევზე ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ შემდეგი თანამდებობის პირები:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე, 107⁴ მუხლებით, 114² მუხლის მე-6 ნაწილით, 119¹ მუხლით, 125 მუხლის მე-8 ნაწილით, 125³ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე, 135¹ მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3

და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125³ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ე) შპს „სანდასუფთავების“ თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ვ) შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ზ) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

1.4. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

1.5. წინამდებარე ბრძანების 1.3. პუნქტის შესაბამისად სამართალდარღვევის საქმის ადგილზევე განხილვისას და სამართალდამრღვევზე ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის ადგილზევე შეფარდებისას, სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის

მიერ დაუყოვნებლივ მოხდეს ოქმის განსახილველად გადაგზავნა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოსადმი (სასამართლოსადმი, თანამდებობის პირისადმი). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შემდეგ დაუყოვნებლივ მოხდეს ოქმის გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატში, რომელიც თავის მხრივ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების მეშვეობით უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის განსახილველად სასამართლოში გადაგზავნას.

3. იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების, რომლებზეც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ (გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისა) სასამართლოში განხილვისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს იმ იურიდიული პირის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა, სადაც მუშაობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

4. იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების, რომლებზეც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეების მიერ, სასამართლოში განხილვისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მერიის აპარატის იურიდიულმა განყოფილებამ. დაევალოს უფლებამოსილ თანამდებობის პირებს საქმის სასამართლოში განხილვის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობონ ქალაქ ბათუმის მერიის აპარატის იურიდიულ განყოფილებას, მიაწოდონ შესაბამისი მასალები და ქალაქ ბათუმის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების მოთხოვნისას უზრუნველყონ სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენი პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

5. წინამდებარე ბრძანების საფუძველზე გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წარმოებაზე და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვროს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) ან/და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, ხოლო არსებობისას გენერალური დირექტორი), სადაც მუშაობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წარმოებაზე და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანო საკრებულოს თავმჯდომრის 2011 წლის 10 ივნისის №02/209 ბრძანება.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი